



თარიღი: 27.12.2012

პრესრელიზი

„სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი“ ახალ პროექტს იწყებს

2012 წლის 27 დეკემბერს 12:00 საათზე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში პროექტის „ორმაგი წიგნიერების განვითარება არაქართულენოვან სკოლებში“ პრეზენტაცია გაიმართება. პრეზენტაციის მიზანია პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების გაცნობა მოწვეული სტუმრებისთვის და მათგან სასარგებლო რჩევების და რეკომენდაციების მიღება.

მოწვეულ სტუმრებს შორის იქნებიან: რეინტეგრაციის მინისტრი და მისი მოადგილე, ომბუტსმენის ოფისი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილეები.

პროექტის მიზანია ორმაგი წიგნიერების განვითარება ბილინგვური სკოლებისთვის დაწყებით საფეხურზე, რაც შემდგომში მოსწავლეებს დაეხმარებათ როგორც მშობლიურ, ისე სახელმწიფო ენაზე წარმატების მიღწევაში.

„პროექტის ფარგლებში დასახული ამოცანები ბევრად უფრო გრძელვადიან შედეგებზეა გათვლილი, ვიდრე განხორციელების რეალური პერიოდია. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ შემუშავებული საკითხავი მასალები და მასწავლებელთა გადამზადების პროგრამა ხელს შეუწყობს არა მხოლოდ დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს, არამედ ზოგადად, არაქართული სკოლების მოსწავლეებს შორის ბილინგვური განათლების განვითარებას“ - განაცხადა სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის ხელმძღვანელმა - შალვა ტაბატაძემ.

პროექტი ხორციელდება „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის“ მიერ პროგრამა - „ყველა ბავშვი უნდა კითხულობდეს - უდიდესი გამოწვევა განვითარებისთვის“ ფარგლებში, USAID - ის ფინანსური მხარდაჭერით.

„სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი“ სხვადასხვა პარტნიორი და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით 2005 წლიდან

ახორციელებს უამრავ საგანმანათლებლო პროექტს ეთნიკური უმცირესობების განათლების, მათი სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ხელშესაწყობად.

კონტაქტი: ნათია გორგაძე, პროგრამის მენეჯერი

ngorgadze@cciir.ge

მობ. ნომერი 599390495

